სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N 20/06

ქ.თბილისი 23 იანვარი 2019 წელი

ერთის მხრივ, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ნუნუ ოვსიანიკოვას სახით (შემდგომში "შემსყიდველი"), და მეორეს მხრივ, შპს "ჯორჯიან სერვის ნეთვორკი" წარმოდგენილი მისი დირექტორის მინდობილი პირის გიორგი წაქაძის სახით (შემდგომში "მიმწოდებელი"), დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შეაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ეკონომიკური შემოსავლების დაფინანსების ფარგლებში, თსუ-ს ბალანსზე არსებული 15 ცალი Dasy e.Expert.-ის საკონტროლო სალარო აპარატის საგარანტიო, ტექნიკური, და შემოსავლების სამსახურთან GPRS კავშირის მომსახურების, ასევე კრიპტო მოდულის ავტორიზაციის გასაღების პერიოდული ცვლილების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა. (CPV50310000-*საოფისე აპარატურის ტექნიკური მომსახურება და შეკეთება*)(SMP190000319)

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესყიდვის მოცულობა და ღირებულება:

№	საკონტროლო სალარო აპარატის ნომერი	მომსახურების გაწევის ვადა	ღირებულება ერთი თვე (ლარი)	სულ ღირებულება თორმეტი თვე (ლარი)
1	DY00062511	23.01.2019 - 23.01.2020	5.00	60.00
2	DY00062516	23.01.2019 - 23.01.2020	5.00	60.00
3	DY00062522	23.01.2019 - 23.01.2020	5.00	60.00
4	DY00078244	29.01.2019 - 29.01.2020	5.00	60.00
5	DY00088966	16.02.2019 - 16.02.2020	5.00	60.00
6	DY00094859	07.03.2019 - 07.03.2020	5.00	60.00
7	DY00100760	08.03.2019 - 08.03.2020	5.00	60.00
8	DY00101967	30.09.2019 - 30.09.2020	5.00	60.00
9	DY00146829	29.07.2019 - 29.07.2020	5.00	60.00
10	DY00146830	08.10.2019 - 08.10.2020	5.00	60.00
11	DY00146831	02.08.2019 - 02.08.2020	5.00	60.00
12	DY00152191	25.01.2019 - 25.01.2020	5.00	60.00
13	DY00152192	02.03.2019 - 02.03.2020	5.00	60.00
14	DY00156062	19.04.2019 - 19.04.2020	5.00	60.00
15	DY00156063	19.04.2019 - 19.04.2020	5.00	60.00
		ჯამი		900.00

2.2. შესყიდვის სრული ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს: ***900.00 (ცხრაასი ლარი და 00 თეთრი) ლარს.***

3. მომსახურების გაწევის წესები და პირობები

3.1. სსა-ს საგარანტი პერიოდი აითლება მისი პირველი რეგისტრაციის მომენტიდან დასრულდება 3 კალენდარული წლის გასვლისთანავე. საგარანტიო მომსახურება გულისხმობს მიმწოდებლის მხრიდან სსა-ის ნებისმიერი ტექნიკური გაუმართაობის მიზეზების აღმოფხვრას იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი მიმწოდებელს მთელი ამ პერიოდის განმავლობაში თითოეულ საანგარიშო თვეზე გადაუხდის ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათალისწინებულ სააბონენტო გადასახადს; საგარანტიო მომსახურების ღირებულება გათვალისწინებულია წინამდებარე ხელშეკრულებით გათალისწინებულ სააბონენტო მომსახურებაში.

3.2. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგარანტიო და ტექნიკური მომსახურების გაწევა ხორციელდება მიმწოდებლის შესაბამის სერვისცენტრში , შეაბამისი ტექნიკური კვალიფიკაციის მქონე ტექნიკური პერსონალის მიერ. აღნიშნული მომსახურების მისაღებად შემსყიდველი ვალდებულია დაზიანებული სსა მიაწოდოს მიმწოდებელს, შენობის

სერვისცენტრში, რომელიც თავისმხრივ ვალდებულია განახორციელოს ტექნიკური და საგარანტიო მომსახურება .

3.3. იმ შემთხვევაში, თუ სსა-ის დაზიანება გამოწვეულია შემსყიდველის მხრიდან მოხმარებს სახელმძღვანელოში მიმთითებული წესების არასწორად გამოყენების, ძაბვის ცვალებადობის, სსა-ს შიდა მოწყობილობში შესვლის მცდელობის, მისი მექანიკური დაზიანების, ფორსმაჟორული შემთხვევების შედეგად, შემსყიდველი კარგავს საგარანტიო მომსახურების მიღების უფლებას.

3.4 ამ მუხლის 3.3 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია განაახლოს სსა-ს საგარანტიო და ტექნიკური მომსახურება , მხოლოდ მისი აღდგენითი სამუშაოების განხორციელების შემდეგ, რომლის ღირებულებაც განისაზღვრება ცალკე ხელშეკრულებით.

4. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და ადგილი

4.1. შესყიდვის ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში (მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე).

4.2. შემსყიდველის მიერ სააბონენტო გადასახადის გადახდა ხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე 12 (თორმეტი) თვის გადასახადის წინასწარ ჩარიცხვის გზით;

5. ხელშეკრულების პირობების შესრულება

5.1. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ვალდებულებას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, ეკისრება საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი შესყიდვის ობიექტის ღირებულების 0.02% ოდენობით.

5.2. პირგასამტეხლო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ვალდებულების შესრულებისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

5.3. თუ შემსყიდველი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, მიმწოდებელს უფლება აქვს გამოიყენოს ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ზომა და დააკისროს მას საურავი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ხელშეკრულების ღირებულების 0.02 %.

6. დაუძლეველი ძალა

6.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან დაკისრებულ მოვალეობათა ნაწილობრივ ან სრულად შეუსრულებლობისთვის დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით გამოწვეული გარემოებების შემთხვევაში, ამ გარემოებათა არსებობის განმავლობაში.

6.2. დაუძლეველი ძალა გულისხმობს: ომსა და საბრძოლო მოქმედებებს, სტიქიურ უბედურებებს, ხანძარს, გაფიცვებს, სამოქალაქო არეულობას, საკანონმდებლო ცვლილებებს.

6.3. დაუძლეველი ძალის მოვლენის დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ წერილობით მიმართავს მეორე მხარეს ამის შესახებ, თუ დაუძლეველი ძალის მოვლენა გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებმა შეიძლება შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება.

6.4. მხარე არ თავისუფლდება პირობებისაგან, თუ კი ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომა გამოწვეულია მისი ძალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ასეთ გარემოებათა დადგომამდეც განსაზღვრულ ვადებში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი იღებენ ურთიერთვალდებულებას ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის სრული დაცვით.

7.2. შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ზუსტი და განუხრელი შესრულება.

ბ) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე;

გ) მოითხოვოს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა დამატებითი ანაზღაურების გარეშე;

დ) შეწყვიტოს ხელშეკრულება შესყიდვის ობიექტის ხარისხის და/ან ხელშეკრულების პირობების გაუარესების გამო.

7.3. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის ღირებულების დროული გადახდა მიწოდების შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

7.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

ბ) მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ზუსტი და განუხრელი დაცვა.

7.5. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს:
ა) შესყიდვის ობიექტის განსაზღვრულ ადგილზე მიწოდება;
ბ) შესყიდვის ობიექტის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში მიწოდება.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
8.2. წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდე-ბულებების შესრულებისაგან ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

9. ხელშეკრულების ძალაში შესვლისა და მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი პირების ხელმოწერის შემდეგ და მოქმედებს 2020 წლის 08 ოქტომბრის ჩათვლით.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. ყველა დავა, რომელიც წარმოიშობა წინამდებარე ხელშეკრულებიდან, უნდა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების გზით.
10.2. თუ მხარეები 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ვერ მოილაპარაკებენ მხარეს შეუძლია მიმართოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესს.

11. სხვა პირობები

11.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.
11.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას.
11.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.
11.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა.შ. თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.
11.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.
11.6. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მიმოწერა სრულდება ქართულ ენაზე.
11.7. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ წერილობითი ფორმით და ორმხრივი ხელმოწერით დადასტურების შემდეგ.
11.8. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან, ერთი "მიმწოდებელთან", ორი – "შემსყიდველთან".

12. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	**შპს „ჯორჯიან სერვის ნეთვორკ"**
საიდენტიფიკაციო კოდი 204864548	საიდენტიფიკაციო კოდი : 406049823
მისამართი :ი.ჭავჭავაძის გამზ.#1	**მისამართი : ქ.თბილისი , ვაჟა ფშაველას N45**
საბანკო რეკვიზიტები:	**საბანკო რეკვიზიტები:**
სახელმწიფო ხაზინა	სს „კორ სტანდარტ ბანკი"
საკუთარი შემოსავლები	ბანკის კოდი: AGREGE22
კოდი 3204050102	ანგ. ნომერი #:GE65 KS00 0000 0360200126
თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	**შპს "ჯორჯიან სერვის ნეთვორკი" დირექტორის მინდობილი პირი:**
/წ.ოვსიანიკოვა/	/გ.წაქაძე/

Giorgi Tsakadze
Digitally signed by Giorgi Tsakadze
Date: 2019.01.24 18:59:45 +04'00'